ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას

ტელეკომპანია „ფორმულას“

ჟურნალისტის, ნიკა საჯაიას

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გავეცანი შპს „შუ-პუ-სუს“ სარჩელს, ტელეკომპანია ფორმულას ეთერში 2022 წლის, 8 აგვისტოს 20:00 საათიან გამოშვებაში გასულ სიუჟეტთან დაკავშირებით, რომლის ავტორიც მე ვარ. პირველ რიგში სრულ პასუხისმგებლობას ვიღებ, მასალის მომზადების პროცესზე და თითეულ იმ ინფორმაციაზე, რომელიც გავიდა ეთერში. მინდა ავღნიშნო, რომ მომჩივანი მხარის პრეტენზია მიუღებელია, ვინაიდან წარმოდგენილია არასრული ინფორმაცია, დამახინჯებული ფაქტებითა და კონტექსტიდან ამოგლეჯილი წინადადებებით.

1. მომჩივანი მიუთითებს, რომ თიოთქოს მცდარ ფაქტს წარმოადგენს ჩემს მიერ ნათქვამმი ფრაზა, რომ მედიასთან კომუნიკაციაზე უარს ამბობს ბარის ადმინისტრაცია. განვმარტავს, რომ შემთხვევის ადგილზე მისვლისთანავე, დაახლობით 11:30 საათზე, დავრეკე ბარის ოფიციალურ სოციალურ ქსელ Facebook-ში მითითებულ ნომერზე, სადაც ვცადე ინფორმაციის გადამოწმება. მითხრეს, რომ მომხდარ დანაშაულზე დეტალურ ინფორმაციას არ ფლობდნენ, თუმცა არ უარყვეს ფაქტი. ამის შემდეგ მოვითხოვე პასუხისმგებელი პირთან დაკავშირება. სატელეფონო კომენტარი, 8 აგვისტოს, 12:00 საათიან გამოშვებაში გავიდა უცვლელად!

2. რაც შეეხება მახარე ლეფსვერიძის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას. აღნიშნული ტექსტი, რომელიც მომჩივანმა თავის განმარტებად წარმოადგინა, რეალუირად არის შს სამინისტროს მიერ გავრცელებული ოფიციალური განხცხადება, რომელიც ჯერ კიდევ დღის გამოშვებებში გადაიცა და რომლის ხელმძღვანელობითაც მოხდა სიუჟეტის ტექსტზე მუშაობა. გამომდინარე იქედან, რომ უწყების გავრცელებული განცხხადება, არ იყო სრულად ინფორმაციული და არ იძლეოდა ყველა კითხვაზე პასუხს, ლეფსვერიძეს განვუმარტე რომ მჭირდებოდა დამატებითი ინფორმაცია, კომენტარი , რაც საერთო სურათის აღდგენის შესაძლებლობას მომცემდა. მან გადფამიმასამართა კომპანიის იურისტთან და მითრა, რომ ყველა კითხვას ის უპასუხებდა. დაახლოებით 2 საათის განმავლობაში 10-,დე ზარი განვახორციელე აღვბოკატთან, თუმცა უშედეგოდ. ამის შემდეგ, ბარის იურისტს მივწერე, ვინ ვიყავი, რა თემაზე ვურეკავდი და ვფთხოვე კომენტარის გაკეთბა, თუმცა უშედეგოდ. ყოველივე ამის შესახებ, ვაცნობე ლეფსვერიძეს და განვუმარტე, რომ გარდა 7 აგვისტოს, მომხდარი სროლისა, იყო ბარის უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლების და თავად ბარის მისამართით ბრალდებები

და მჭირდებოდა მათი პოზიცია. ვუთხარი, რომ თუ პოზიციას 19:30 საათამდე დააფიქსირებდნენ, მოვასწრებდი მასალის ეთერში გაშვებას (ვურთავ მოკლე ტექსტური შეტყობინებების და სატელეფონო ზარების სქრინებს). სამწუხარიდ, არც ბარის ადმინისტრაციის წარმომადგენელმა იცოდა, რატომ არ ან ვერ მპასუხობდა ადვოკატი – ამის შემდეგ, ჩემი თანამშრომლის დახმარებით, დავუკავშირდი, ბარის ერთ-ერთ მფლობელს და ავუხსენი, რა სიუჟეტს ვაკეთებდი და რატომ მჭირდებოდა მათ პოზიცია. დამატებით შევთავაზე, რომ ჩაწერის გარეშე მსურდა მათთან გასაუბრება, რათა ეთერში არ გასულიყო დამახანიჯებული ფაქტები ან მცდარი ინფორმაცია. რაზეც უარი მივიღე (მათ მიერ გამოგზავნილ მომოწერრაშიც კი ფიქსირდება ეს).

3. რაც შეეხება კიდევ ერთ საკითხს, ვადასტურებ რომ ვთქვი სავარაუდპოდ რპოდის და რა ვითარებაში გამოიყენა ბრალდებულმა იარაღი და ისროლა დაწესებულებაში მყოფი ადამიანების მისამართით. თუმცა, წინადადების დასაწყისში გამოვიყენე სიტყვა **სავარაუდოდ,** ვინაიდან ამ ეპიზოდის უშუალო თვითმხილველი არ მყავდა ნანახი. სწორედ ეს იყო ერთ-ერთი დეტალი, რომლის გარკვევაც მსურდა ადმინისტრაციის წარმომადგენლებისგან. ასევე დავუკავშირდი, უსაფრთხოების სამსახურის ხელმძრანელს, რომელიც დაზარალებულიც არის, თუმცა მას შემდეგ რაც გაიგო რომ ვიყავი ჟურნალისტი, აღარ უპასუხა ჩემს სატელეფონო ზარებს
(წარმოდგენილი მაქვს სატელეფონო ჩანაწერი, რომელიც ეთერში არ გავუშვი, დაზარალებულის ინტერესებიდან გამომდინარე). მიხარია, მომჩივანი ქარტიის პირველი პრინციპის შესახებ რომ არის ინფორმირებული – იმედია, სხვა დროს ჟურმალისტებს მისცემენ ზუსტი ინფორმაციის მიცემის შესაძლებლობას.

რაც შეეხება ბარში, სხვა დროს მომხდარ ინციდენტებს, ჩხუბს, არასრულწლოვანთა შესვლას და ალკოჰოპლური სასმელების მიყიდვის სავარაუდო ფაქტებს – ამის შესახებ, ტელეკომპანიას ინფორმაცია მიაწოდა იმ ადამიანმა, რომელმაც დანაშაულის ღამეს, საროლის შესახებ შეატყობინა ჩვენს ჟურნალისტს. მისი სურვილი იყო, არ გამჟღავნებული ვინაობა, ვინაიდან ის დღემდე ამ დაწესებულების მოქმედი თანამშრომელია. გამომდინარე იქედან, რომ „წყაროს“ ინფორმაცია დადასტურდა, სარწმუნოდ ჩავთვალეთ მისი კომენტარის ეთერში გაშვება, თუმცა ეს არ ყოფილა ჟურნალისტის მტკიცებით ფორმაში ნათქვამი ფრაზა. გარდა ამისა, კომპანიის წარმომადგენელ მახარე ლეფსვერიძეს განვუმარტე რომ თუ სხვა დროს მოისურვებდნენ, პოზიციის დაფიქსირებას – საინფორმაციო სამსახური მათ დროს დაუთმობდა. სამწუხაროდ, ისინი 8 აგვისტოს შემდეგ არ შმხმიანებიან – მიუხედავად იმის რომ იცოდნენ ჩემი და ტელეკომპანიის სხვა თანამშრომლების საკონტაქტო ინფორმაცია.
ასევე ვთხოვ განმცხადებელს განმარტოს ფრაზა „არაიდენტიფიცირებადი ჟურნალისტი“.

პატივისცემით: ნ. საჯაია